



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 364/ს
28/09/2022

364-21-4-202209281311



ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.02.020) და რუსთაველის ქ. №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.01.001), სამშენებლოდ განვითარების განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურისადმი არდაქვემდებარების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 14 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა „ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.02.020) და რუსთაველის ქ. №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.01.001), სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის“ პროექტი და სკრინინგის განცხადება.

სტრატეგიული დოკუმენტი და სკრინინგის განცხადება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://nea.gov.ge/Ge/GZSH/733>). ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (<https://batumi.ge/ge/index.php?page=show&sec=176>) და საინფორმაციო დაფაზე.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალს წარმოადგენს ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. N39-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. N05.23.02.020) და შ. რუსთაველის ქ. N44-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. N05.23.01.001). გეგმარებითი ერთეული მოქცეულია ნინოშვილის და რუსთაველის ქუჩებს შორის, რომლის ფართობი შეადგენს 32 000 კვ.მ-ს და მოიცავს 4 მიწის ნაკვეთს, რომელთა საერთო ფართობია 24 756,0 კვ.მ. დოკუმენტის თანახმად, გეგმარებითი ერთეულის ერთიანი კონცეფციით განვითარების ძირითადი ფაქტორია ზემოაღნიშნული და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ერთი ფუნქციით დატვირთვა. გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ ნაწილს, მასზე განთავსებულია სასტუმროს დანიშნულების ობიექტები. გეგმარებითი ერთეული და საპროექტო ტერიტორიები “ნურიეს უბანში”, ბათუმის ისტორიული ზონის საზღვრთან მდებარეობს - შოთა რუსთაველის ქუჩასა და ეგნატე ნინოშვილის, ასევე ბულვარის ვიწრო ზოლს შორის, ზღვის ნაპირთან ახლოს.

დოკუმენტის მიხედვით, გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია სასტუმროს დანიშნულების ორი მრავალსართულიანი შენობის განთავსება, რომელთა დაახლოებითი

სიმაღლე იქნება 180 მეტრი, ხოლო სართულიანობა - 55. ძირითად ნაწილში დაგეგმილია სასტუმრო ნომრების/აპარტამენტების განთავსება, ხოლო ნაწილში (ძირითადად ე.წ. „სტილობატში“ და კომპლექსის ბოლო სართულებზე) სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების საზოგადოებრივი და კომერციული ფართების განთავსება.

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო მიწის ნაკვეთები მდებარეობს შერეული ზონაში (შზ), ხოლო „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების გეგმის მიხედვით კი საქმიან ზონაში (შზ-3).

შესაბამისად, საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს შერეული ზონაში (შზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი საქმიან ზონაში, სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტია $k_2=4,6$ -მდე.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრის, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის k_2 -ის პარამეტრის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 4,6-დან 16,0-მდე, რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას. ვინაიდან, ინიცირების ბრძანებით იცვლება მხოლოდ განაშენიანების სიმჭიდროვის პარამეტრი, ლიმიტირებული რჩება სხვა განაშენიანების პარამეტრები. განაშენიანების კოეფიციენტი (k_1) ცვლილებების შედეგად განისაზღვრება 0,7-ით (დადგენილი 0,5/0,7); გამწვანების კოეფიციენტი (k_3) რჩება უცვლელი და შეადგენს 0,2-ს.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შემუშავდა „ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. N39-ში და ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N44-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.23.02.020 და N05.23.01.001 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 16 მარტის №14.142107510 ბრძანების საფუძველზე და თანდართული დავალების შესაბამისად. ქალაქ ბათუმის განაშენიანების გეგმით, გეგმარებითი ერთეული მდებარეობს საქმიან ზონაში. განაშენიანების კვლევის შედეგების მიხედვით, გეგმარებით ერთეულზე გამოყენების სახეობას წარმოადგენს მხოლოდ სასტუმრო ობიექტები.

დოკუმენტის თანახმად, ქალაქმშენებლობითი გეგმის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს. დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ნაკვეთების მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია მრავალსართულიანი შენობები, შესაბამისად, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზეც მრავალსართულიანი შენობების განთავსება, რომლის სიმაღლე გაუსწორდება გვერდით მდებარე შენობას, არ გამოიწვევს ურბანული ქსოვის რღვევას, რაც დოკუმენტის თანახმად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით გამართლებულია. ამასთან, ჩამოყალიბდება ერთიანი ტურისტული ფუნქციით დატვირთული მდგრადი გეგმარებითი ერთეული.

დოკუმენტის თანახმად, შპს „ბრიტიშ დეველოპმენტის“ (ს/№405225475) საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში მდებარე 8 000,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 05.23.02.020) გასხვისებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ. შპს „ბრიტიშ დეველოპმენტის“ სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენს, შეძენილ მიწის ნაკვეთზე არაუგვიანეს 2025 წლის 31 აგვისტოსი განახორციელოს არანაკლებ 100 (ასი) ბრენდული სასტუმრო ნომრიანი მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის დასრულება, ექსპლუატაციაში მიღება და ამოქმედება და ამ მიზნით 2025 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს არანაკლებ 11 500 000 (თერთმეტიმილიონ ხუთასიათასი) აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება. შპს „ვესტინვესტის“ (ს/№245399055) საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №44-ში მდებარე 3 508,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 05.23.01.001) გასხვისებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ. შპს „ვესტინვესტის“ სახელშეკრულებო ვალდებულებაა, შეძენილ მიწის ნაკვეთზე 2026 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოაწყოს/ამოქმედოს მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობები, კერძოდ, არანაკლებ 100 ნომრიანი სასტუმრო, სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, საკონფერენციო დარბაზი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, საზოგადოებრივი კვების ობიექტი, გასართობი ცენტრი, პარკინგი და სარეკრეაციო ზონა (სკვერი, პარკი); ამავე ვადაში, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 100 (ასი) ნომრიანი სასტუმროს ფუნქციონირებისათვის საჭირო ფართი დაარეგისტრიროს ცალკე საკადასტრო ერთეულად (მხოლოდ სასტუმროს ნაწილზე) და მხოლოდ აღნიშნულ საკადასტრო კოდზე სასტუმროს ამოქმედებიდან არანაკლებ 10 (ათი) წლის განმავლობაში შეინარჩუნოს პროფილი, სადაც დასაქმებულთა არანაკლებ 90%-ს უნდა შეადგენდეს საქართველოს მოქალაქეები. შპს „ვესტინვესტი“ ვალდებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარის ინვესტიცია. **დოკუმენტის თანახმად, რადგან სახელშეკრულებო პირობებში მკაცრად განსაზღვრულია ასაშენებელი ობიექტების სახეობა და განსახორციელებელი ღონისძიებები ალტერნატივების განხილვა ვერ ხერხდება.**

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილი ღონისძიებები (საქმიანობები) უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა. სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია შემდეგნაირად:

- სასტუმრო კომპლექსების სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება;
- სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა;
- საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ტერიტორიის გამწვანება;
- ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- პარკინგის მოწყობა;

დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება უზრუნველყოფს სასტუმრო ნომრების მნიშვნელოვნად გაზრდას, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და მზადყოფნას ნაკადების თანამედროვე სტანდარტების სერვისებით უზრუნველსაყოფად.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძვლის შესახებ.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიმატური მახასიათებლების შესახებ (ქ. ბათუმის მეტეოსადგურის მიხედვით), აღწერილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის გეოლოგიური პირობები (მათ შორის გეგმარებითი ერთეულის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები), ტექტონიკა და სეისმურობა, ჰიდროგეოლოგია, ასევე, სტრატეგიული დოკუმენტი განხილულია დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებამ, გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზემოქმედება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება საქმიანობის სპეციფიკაზე, მისი განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძობელობის ხარისხზე.

განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები, შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაცია;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- სოციალური გარემო;
- ბიოლოგიური გარემო.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გეგმარებითი ერთეულის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს, ასევე, აღნიშნულია სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოები. სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების შედეგად, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას არსებულ ფონურ მდგომარეობაზე. სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით შემცირდება ზემოქმედება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, გეგმარებით ერთეულზე სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს აკუსტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან გაუარესებას, ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით შემცირდება ზემოქმედება.

სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, გრუნტზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება შესაძლო ავარიულ დაღვრებთან. გრუნტის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო სამუშაოები უნდა წარიმართოს შესაბამისი გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გეგმარებითი ერთეულის საპროექტო ტერიტორიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი ნურის ტბა (უმოკლესი პირდაპირი მანძილი 100 მ.), არდაგანის ტბა (უმოკლესი პირდაპირი მანძილი 950მ.) და შავი ზღვაა (უმოკლესი პირდაპირი მანძილი 190 მეტრი). როგორც საინჟინრო-გეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა საპროექტო ტერიტორიაზე გრუნტის/მიწისქვეშა წყლები გრუნტის ზედაპირთან საკმაოდ ახლოსაა. დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გრუნტის წყლის ხარისხზე, რაც დაკავშირებული იქნება სამუშაოების არასწორ წარმართვასთან და ნარჩენების არასათანადო მართვასთან (განსაკუთრებით თხევადი ნარჩენების). ამასთან, გეგმარებითი ერთეულის სიახლოვეს წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემა, სადაც ასევე ჩაერთვება საპროექტო ინფრასტრუქტურა. საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემაში ჩართვამდე, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გარემოსდაცვითი პირობები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხს.

დოკუმენტაციის მიხედვით, გეგმარებით ერთეულზე სასტუმრო კომპლექსების განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ: დაგეგმილი სამუშაოების წარმოებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული როგორც გარემოსდაცვითი, ასევე უსაფრთხოების ნორმები. უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად სამშენებლო უბანი უნდა შემოისაზღვროს დამცავი საშუალებებით, ხოლო მტვრის ნაწილაკების გავრცელების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, შესაძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იყოს მასალების „სველი მეთოდით“ დამუშავება. დაცული უნდა იყოს სამუშაოების წარმართვისათვის განსაზღვრული საზღვრები, ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისთვის გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ყველა სახის ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს სათანადოდ; ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში; ქარიან ამინდში უნდა შეიზღუდოს მტვერწარმოქმნელი სამუშაოების შესრულება, ხმაურის დონის კანონით დადგენილი ზღვრული ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ უნდა განხორციელდეს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

რაც შეეხება გამწვანების პირობებს, გეგმარებით ერთეულზე, დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში. ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სივცეში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა. დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან/და მათი შენარჩუნების პირობით. გეგმარებით ერთეულზე და მიმდებარედ განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია გამწვანებული ზონებით, მათ შორის მიმდებარე სკვერითა და ბათუმის ბულვარით, საფეხმავლო და სატრანსპორტო გზების გასწვრივ ნარგავების განთავსებით. დოკუმენტში მოცემულია ბათუმში გავრცელებული ხე-მცენარეები და აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული არეალი ღარიბია მცენარეული საფარით, ამასთან, შემარბილებელი ღონისძიებების თანახმად, შენარჩუნდება ყველა არსებული ხე-მცენარეულობა.

სტრატეგიული დოკუმენტის ეფექტიანობის შეფასების ნაწილში წარმოდგენილია ე.წ. „სვოტ ანალიზი“, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია შემდეგი სამიზნე აქცენტები:

- ძლიერი მხარეები - ზღვის სანაპიროსთან და ბულვართან სიახლოვე; ქალაქის ღირსშესანიშნაობების სიახლოვე, საზოგადოებრივ ობიექტებზე და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა.
- სუსტი მხარეები - შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის მხრიდან ბულვარისა და პლაჟის მიმართულებით ფეხმავალთა დიდი ნაკადის უსაფრთხო/დამოუკიდებელი გადასასვლელის არარსებობა.
- შესაძლებლობები - ცალკეული დარგობრივი მიმართულების - ტურიზმის განვითარება; ტურისტული ნაკადებისათვის შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მომსახურების მიწოდება/გაუმჯობესება; თანმხლები სავაჭრო და საზოგადოების სფეროს გააქტიურება; ამასთან დამატებითი დასაქმების ადგილების შექმნა.
- საფრთხეები - სეზონური დატვირთვის პერიოდში, მიმდებარე კომპლექსების გაზრდილი ტურისტული ნაკადების პირობებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის არასაკმარისი სიხშირე.

დოკუმენტის თანახმად, გეგმარებითი ერთულის დაგეგმარებასთან დაკავშირებით, განხორციელდა სოციოლოგიური კვლევა/გამოკითხვა, შედგა საჯარო შეხვედრები.

გეგმარებითი ერთეული გაზიფიცირებულია, სასტუმრო კომპლექსების სასტუმრო ნომრების გაზიფიცირება დაგეგმილი არ არის, ხოლო კომერციული დანიშნულების ობიექტების გაზიფიცირებასთან, თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, სასტუმროების ელექტრომომარაგების მიზნით დაგეგმილია არსებული 110/10 კვ „ბათუმი-4“ ქვესადგურის რეაბილიტაცია და 35 კვ. ეგზ გაყვანა, ასევე წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია წყალმომარაგებასთან დაკავშირებით.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება არ იგეგმება დაცული ტერიტორიებისა და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების (ზურმუხტის საიტი) ფარგლებში. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული დაგეგმილი საქმიანობა უნდა წარიმართოს სამშენებლო მოედნებზე განხორციელებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით, რომელიც საჭიროა შეთანხმდეს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან. ასევე, საჭიროა სკრინინგის განცხადებაში მითითებული შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას. აღნიშნულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ უწყებებს შენიშვნები არ წარმოუდგენიათ. წარმოდგენილ იქნა სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №18 დადგენილების შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მონაწილეობას ღებულობს კულტურული მემკვიდრეობის საბჭო, რომელსაც, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის


დაცვის სააგენტო მხოლოდ ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ორგანიზაციულ და მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას უწევს. გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი რეგულაციის თანახმად, საკითხი უნდა განიხილოს საწყის ეტაპზე ბათუმის საკრებულომ კოეფიციენტის განსაზღვრის მიზნით, ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მშენებლობის პროექტის გადმოგზავნის შემდგომ იმსჯელებს კულტურული მემკვიდრეობის საბჭო და მიიღებს გადაწყვეტილებას ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაზე დაყრდნობით. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ „ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.02.020) და რუსთაველის ქ. №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.01.001), სამშენებლოდ განვითარების” განაშენიანების დეტალური გეგმა არ დაექვემდებაროს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო